განკარგულება:g-31. 31231788
თარიღი:27/06/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №44

2023 წლის 27 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ.ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-10 მუხლის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფ.ჯუნეწერში არსებულ სკვერს ეწოდოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი-დავით ბოლქვაძის სახელი, თანდართული რუკის შესაბამისად.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, სამი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება გაეგზავნოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის

შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

01/21
დავით ბოღქვაძის სახელობის სკვერი